სახელმძღვანელო მითითებები COVID-19-თან (ახალ კორონავირუსთან) დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS), არსებული ვითარების გათვალისწინებით, გამოსცემს წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებებს იმ სირთულეებთან დაკავშირებით, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ **ახალი კორონავირუსის პანდემიის (COVID-19)** ზეგავლენის შედეგად აუდიტორები და აუდიტორული ფირმები.

ვინაიდან ჯერჯერობით კვლავ მნიშვნელოვანია ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული **განუსაზღვრელობის** ხარისხი, დღეს, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე ცალკეული ქვეყნის დონეზე, განხილვის უმთავრესი თემაა ამ ვირუსით შექმნილი სიტუაციის ეკონომიკური გავლენის შეფასება, რაც დამოკიდებული იქნება **დაავადების ხანგრძლივობაზე, ინტენსივობასა და გავრცელების მასშტაბზე.**

არსებული პროგრესირებადი და ცვალებადი გარემოებების გათვალისწინებით, როგორც ამ სიტუაციას ახასიათებენ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები და ასევე, იმის გამო, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის პრიორიტეტული საკითხია დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და აუდიტორული მომსახურების ხარისხის ამაღლება, საჭიროდ ვთვლით აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- **აუდიტორისეული რისკის შეფასება** და მისი გადასინჯვის საჭიროების განხილვა;
- იმის გარკვევა, თუ როგორ აფასებს აუდიტს დაქვემდებარებული სუბიექტის ხელმძღვანელობა COVID-19-ით გამოწვეული გარემოებების გავლენას **მომხმარებლებზე, მიწოდების ჯაჭვსა და თანამშრომლებზე**, მათ შორის, ბიზნეს-მოდელის გათვალისწინებით, თანამშრომელთა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე ადაპტირების შესაძლებლობას. ასევე, რა ვადით შეძლებს სუბიექტი არსებული ლიკვიდური აქტივებით ფუნქციონირებადობის შენარჩუნებას;
- აუდიტორის მიერ **ფუნქციონირებადი საწარმოს** სტატუსისა და სუბიექტის სამომავლო პერსპექტივის შეფასება;
- COVID-19-ით გამოწვეული გარემოებების შედეგად აუდიტის **საკვანძო ასპექტების ხელახალი შეფასება**. აღნიშნულმა შეფასებამ უნდა მოიცვას პერიოდი აუდიტორული დასკვნის ხელმოწერამდე. შედეგად, შესაძლოა აუცილებელი გახდეს ხელმძღვანელობის მიერ დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების მოწოდება;
- როდესაც COVID-19-ით გამოწვეული გარემოებების გავლენა აუდიტის პროცესზე მნიშვნელოვანია, აუდიტორმა უნდა იმსჯელოს აუდიტორულ დასკვნაში აღნიშნულის, როგორც **ძირითადი აუდიტის საკითხის**, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებთან კომუნიკაციაზე;
- როგორ მოიპოვებს აუდიტორი საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს, როდესაც აცნობიერებს, რომ შესაძლოა აუცილებელი გახდეს აუდიტის ჩასატარებლად დაგეგმილი მიდგომის შეცვლა და ალტერნატიული პროცედურების შემუშავება, განსაკუთრებით **ჯგუფის აუდიტის გარიგებებში**;
- 2019 საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით სუბიექტზე COVID-19-ით გამოწვეული გარემოებების გავლენის შესახებ ხელმძღვანელობის მიერ **გამჟღავნებული ინფორმაციის** ადეკვატურობა. მართალია, ახალი კორონავირუსის გავრცელება **არამაკორექტირებელი მოვლენაა**, მაგრამ საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მომხდარი მოვლენების შედეგად შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს დამატებითი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამ თარიღისთვის არსებული განუსაზღვრელობის შესახებ.

აუდიტორსა და სუბიექტს შორის კომუნიკაცია

მნიშვნელოვანია აუდიტორებსა და სუბიექტებს შორის ისეთი საკითხების დროული განხილვა, როგორიცაა:

- სუბიექტთან, დირექტორებთან და აუდიტის კომიტეტებთან COVID-19-ით გამოწვეული გარემოებების **ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის შეფასება,** მათ შორის აუდიტორსა და სუბიექტის თანამშრომლებს ან/და ჯგუფის აუდიტორს შორის პანდემიით გამოწვეული კომუნიკაციის შეზღუდვების გავლენა აუდიტზე;

- COVID-19-ით გამოწვეული გარემოებების და რისკების შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან მიმართებაში (როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი ასპექტები) აუდიტორის მოლოდინის ცხადად და დროულად კომუნიკაცია, მათ შორის **არასაკმარისად გამჟღავნებული ინფორმაციის შესაძლო გავლენა აუდიტორული მოსაზრების ტიპზე**;

- სუბიექტის ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს COVID-19-ით გამოწვეულმა შეზღუდვებმა დაგეგმილი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებაზე, და **საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობის** შემთხვევაში, აღნიშნულის შესაძლო გავლენა **აუდიტორული მოსაზრების ტიპზე**.

მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფილი იქნება სათანადო პირობები აუდიტორთა ჯანმრთელობის უსაფრთხოებისათვის, მნიშვნელოვანია, COVID-19-ის პანდემიის დროს აუდიტორებმა და აუდიტორულმა ფირმებმა პრიორიტეტულად იზრუნონ ინვესტორებისათვის საიმედო, აუდიტირებული ინფორმაციის მიწოდებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ აუდიტის სამუშაოების დასასრულებლად შესაძლოა დამატებითი დრო გახდეს საჭირო, მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორებს, აუცილებლობის შემთხვევაში, მიეცეთ ეს დამატებითი დრო.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს მუდმივი კომუნიკაცია აქვს აუდიტის დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა საერთაშორისო ფორუმის (IFIAR) სხვა წევრ სახელმწიფოთა ზედამხედველობის სამსახურებთან და აუდიტის პროფესიასთან, ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს მიმდინარე მოვლენებს და აფასებს მათ, და, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს და გაატარებს აუცილებელ ზომებს.